მუშათა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მუშათა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
28 მარტი
1941 წ.
№ 73 (6078)
ფასი 10 კაპ.

კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის

სანიმუშოდ ჩავატაროთ ვაზის მუნოგა

მევენახეობის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვენ სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სანერგე მეურნეობას. უკანასკნელ წლებში საქართველოში ამერიკული ვაზის სადედეები საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სანერგეების ერთერთ ნაკლს შეადგენს დამყნილი მასალისაგან სტანდარტული ნერგების გამოსავლის დაბალი პროცენტი. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის გურჯაანის, ოქტალვის, ყვარლისა და სხვა რაიონებზე. ვაზის სტანდარტული ნერგის დაბალმა გამოსავალმა გამოიწვია 1940 წლის შემოდგომაზე ვენახის გაშენების გეგმის შეუსრულებლობა.

მევენახეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სათანადო დასკვნები გაკეთონ შარშანდელი გაკეთილებიდან და ამთავითვე მიიღონ ყველა საჭირო ზომა ვაზის სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობის გასადიდებლად.

ეს იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, თუ სანიმუშოდ ჩავატარებთ ვაზის მუნოგას და თვალისჩინეკით გავეფრთხილდებით სანერგეებს.

გურჯაანის, ლაგოდეხის, თბილისის, თელავისა და სიღნაღის რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ მუნოგა უკვე დაიწყო, საცაა ეს საშუშაო მასობრივად გაჩაღდება.

მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ წელს საშუალოდ რესპუბლიკაში ვაზის სტანდარტული ნერგის გამოსავალი მიღებულ იქნას დამყნილი რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტისა. ეს მოითხოვს სასათბურო მეურნეობის დროულად მოყვანასა სრულ წესრიგში, რადგან სასათბურო მეურნეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამყნილი მასალის გახარების მაღალი გამოსავლიანობის მიღებისათვის. მაგრამ ზოგან ამ ელემენტარულ პირობებსაც ანგარიშს არ უწევენ. თბილისის რაიონში ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ ორი სათბურის მშენებლობა. სათბურების მშენებლობა შეუწყარებლად ჩიაღნურდა გორის, კასპის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთში. საჭიროა უახლოეს დღეებში გამოვასწოროთ ეს ნაკლოვანებანი.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი სამინეთამოქმედო ორგანოებმა ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეებს მყნობის მაღალხარისხოვნად ჩატარებაში. საჭიროა კოლმეურნეობებმა მოეწყოს მყნობელთა სპეციალური რგოლები საქმის მცოდნე და ერთგული კოლმეურნეთაგან და დაეკისროთ მათ პერსონალური პასუხისმგებლობა ვაზის კარგად გახარებული სტანდარტული ნერგის გამოყვანისათვის. დაწესდეს მტკიცე კონტროლი მყნობის ხარისხზე, შემოწმდეს, რამდენად არის დაცული ნამყენისა და სამირე მასალის შეერთების სიმკვიდრეე. მთელი გულისხმიერებით მოვეკიდოთ სამყნობი და სამირე მასალის შერჩევას.

საჭიროა მივაღწიოთ ამერიკული ვაზის სადედეების კარგ მოვლას ენერგიულად ვიბრძოლოთ ამერიკული ვაზის სადედეების მოსავლიანობის გასადიდებლად. არ დავუშვათ დანაკარგები ლერწის აჭრისა და შენახვის დროს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ კოლმეურნე გლეხობა ალაფერთოვანა მაღალი მოსავლისათვის საბრძოლველად. საქართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ფართოდ გამოეხმაურნენ სიღნაღლოთა და მახარაძელთა მოწოდებას სოციალიზმის მოწყობაზე. კოლმეურნეობები, ცალკეული კოლმეურნეები კისრულობენ მიიღონ ვაზის სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობის მაღალი პროცენტი. კოლმეურნეთა სიტყვა მტკიცე სიტყვაა და იგი შესრულებული იქნება.

მყნობის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებით, სანერგეების კარგი მოვლით უზრუნველეყოფთ ვაზის სტანდარტული ნერგის მაღალი გამოსავლიანობა, რაც საშუალებას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ 1941 წლის შემოდგომასა და 1942 წლის გაზაფხულზე ვენახის გაშენების გეგმები.

კარგოუნილის მოსავლიანობის შემდგომი გაზიდებისათვის

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუხრელი ზრდა კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებს კვების პროდუქტებზე. მშრომელთა ამ მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება გვისახავს ამოცანას ყოველწლიურად მივაღწიოთ კარტოფილის უხვ და მყარ მოსავალს. საქართველოში კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად სერიოზული მეშაობა არის გაწეული.

ცალკეული კოლმეურნეობანი, რგოლის ხელმძღვანელნი კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების საკეთილო ნიმუშებს იძლევიან. მაგალითად, ახალციხის რაიონის სოფ. წყალთბილის კოლმეურნეობა „წითელმა მესაზღვრემ" 91 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 203,6 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ამავე რაიონის სოფ. ჯულგის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ — 218,2 ცენტნერი.

თიანეთის რაიონის სოფ. გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელმა მარიამ ბურდულმა ჰექტარზე საშუალოდ 245 ცენტნერი კარტოფილი მოიწია, ახალციხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის" კოლმეურნემ თელა ხაჩატურიანმა — 308 ცენტნერი. ყოველივე ეს მოწმობს, რომ კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად ყველა პირობა არსებობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს შესაძლებლობანი ბევრგან მთლიანად ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. სუსტად ინერგება კარტოფილის მაღალი მოსავლის ოსტატთა მდიდარი გამოცდილება.

მთელი რიგი კოლმეურნეობანი საჭირო სერიოზულობით არ ეკიდებიან კარტოფილის თესვის დროულად ჩატარებას, მოვლა-დამუშავებას. ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო-მეურნეობა ორგანო არასაკმარ ყურადღებას აქცევს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა ურყევად შესრულებას. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ონისა და სხვა რაიონებში გრძელდება კარტოფილის ბუდეებად თესვა, რაც ამცირებს მოსავლიანობას. ადრეა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო აგროტექნიკურ ღონისძიებათა შეუფასებლობას კარტოფილის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში.

ეიბრძოლოთ კარტოფილის უხვი მოსავლისათვის — ეს ნიშნავს: სათესი ფართობები მივამაგოთ რგოლებზე მუშაობის მთელი სეზონის განმავლობაში, ყურადღებიანი დავთესოთ მზრალად ხნულზე და საოსტეიდ შევარნიოთ მაღალხარისხოვანი მასალა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული ბუდეებად თესვა. მტკიცედ უნდა დაინერგოს კარტოფილის მწკრივად თესვა. მაგრამ მარტო თესვით არ იწურება მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის საკითხი. კარტოფილის სოვლები უნდა ვიქნიოთ გაფხვიერებულ და სარეველა ბალახებისაგან გასუფთავებულ მდგომარეობაში, ორგანიზებულად მოვაწყოთ ბრძოლა სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ.

საქართველოში კარტოფილის თესვა უკვე გაჩაღდა. 25 მარტისათვის თეთრწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში დათესილი იყო 450 ჰექტარი, ყარაიის რაიონში — 145, ლუქსემბურგის რაიონში — 230, საგარეჯოს რაიონში — 108 ცენტნერი.

საკოლმეურნეო სოფელი დიდ პოლიტიკურ და საწარმო ღონეებს ანაზოგადებს. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ახალი წესი ეფიდეს სტიმულს ჰქმნის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ახალი ძალთა ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სტალინური მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანა სათავეში ჩაუდგენ მასების გაშლილ ინიციატივას 1941 წელს საოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმების გადამტკიცებით შესრულებისათვის.

შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ კარტოფილის თესვა, საუკეთესოდ მოვეკაროთ ნათესებს, — აი რა უზრუნველყოფს 1941 წელს კარტოფილის მოსავლის დაწესებული გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

საბჭოთა მეცნიერების მიღწევები

გაბოფენა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში 27 მარტს გაიხსნება გამოფენა, რომელიც საბჭოთა მეცნიერების მიერ 1940 წელს შესრულებულ განსაკუთრებულ ნაშრომებს მიეძღვნება. აქ თავმოყრილია ინსტიტუტებსა და აკადემიურ ორგანებში კოსმიურ ულტრა მანქანები და ხელსაწყოები, მეცნიერული ნაშრომები, რუკები, დიაგრამები, ფოტომასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში.

ფართოდ იქნება ნაჩვენები ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების ნაშრომები. აქ ნაჩვენები იქნება ხელოვნური თხევადი სათბობის მიღების მეთოდები, ელვის, უალო წვის დარგში მიღწეული წარმატებანი. სახალხო მეურნეობისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ქიმიური ინსტიტუტების ნაშრომები: ახალ შენაერთთა მიღების მეთოდები, სულფატის საბადოების გამოკვლეული შედეგები, კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები და სხვ.

საბჭოთა ასტრონომები გაძლიერებით ემზადებიან მომდინარე წლის მზის დაბნელების დაკვირვებისათვის. მათ დაამზადეს ძვირფასი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები. გამოფენაზე წარმოდგენილია ზოგიერთი მთვარისა, კერძოდ მზის ჰორიზონტალური ტელესკოპი.

სეისმოლოგები უჩვენებენ სეისმოგრამებსა და 1940 წლის მიწისძვრების ეპიცენტრების მსოფლიო რუკას, უახლეს აპარატურას, ფიზიკოსები გაგვაცნობენ სტრატოსფერის შესწავლის შედეგებს, მათემატიკოსები — აკადემიკოსების — ბერნშტეინის, ვინოგრადოვის, სობოლევისა და სხვათა უკანასკნელ დროის ნაშრომებს.

სინანტეზესა კრისტალოგრაფიის ლაბორატორიის ნაშრომები, განსაკუთრებით კრისტალების სახმიი ხელსაწყოები და ლითონთა ქვის შედეგები ახალი მეთოდი.

ყურადღებას იპყრობს ახალი რუკები — გეოლოგიური, გეოგრაფიული, ეკონომიკანაკური, ნიადაგის რუკები. ამ რუკებზე მუშაობდნენ ეკსპედიციების მონაწილეთ მეცნიერთა და სპეციალისტთა მთელი კოლექტივები. გაყინულობის ცალდენი გვიჩვენებენ ყინულსაგან გაკეთებული საცავების მაკეტებს. საინტერესოა საბჭოთა ფიზიკოსების უკანასკნელი ნაშრომები — ჰელიუმის ნაკადებისა და მისი სითბოს გამტარუნარიანობის შემსწავლელი ხელსაწყოები, თხევადი ჟანგბადის მისაღები დანადგარები, დბალი და მაღალი წნევის ვერცხლისწყლის ლამფები.

26 მარტი (საკდსი).

საპატიო ფეხბურთი

ლენინგრადი, 25 მარტი (საკდსი). დღეს გათამაშებულ იქნა პირველი და მეორე ტურის გადადებული პარტიები — კერეს-ბონდარეფსკისა და სმისლოვ-კერესისა. ორივე პარტია ესტონელმა გროსმაისტერმა მოიგო.

ამგვარად, ორი ტურის შემდეგ კერესს 2 ქულა აქვს.

ხვალ მესამე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან კერეს-ბოტვინიკი, ლილიენტალ-ბოლესლავსკი, ბონდარეფსკი-სმისლოვი.

ბოტვინიკის გამარჯვება

ლენინგრადი, 26 მარტი (საკდსი). მეოთხე ტურში ყურადღების ცენტრში იყო კერეს-ბოტვინიკის პარტია. ეს იყო მთავარ მეოთხე შეხვედრა ჰადრაკის დაფაზე. სამი წინანდელი პარტია ყაიმით დამთავრდა.

დღეს პირველივე სვლებიდან თამაშმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. ბოტვინიკმა კვლავ აირჩია ნიმკოვიჩის დაცვის ვარიანტი, რომელიც მან მიკენასის წინააღმდეგ გამოიყენა მე-12 საკავშირო ჩემპიონატში. მაშინ ბოტვინიკმა პარტია წააგო. ამჯერად მან გამაძლიერებელი სვლა იპოვა არჩეულ ვარიანტში. ბოტვინიკმა ხელი იგდო ინიციატივა და ენერგიული სვლებით მიიტანა უძლიერესი იერიში. შავების მხედრები ტბრის ფეხს ბანაკში შეიჭრნენ და მე-23 სვლაზე კერესმა იარაღი დაჰყარა. ბოტვინიკმა მთელი პარტია უნაკლოდ ჩაატარა.

ბონდარეფსკი-სმისლოვის პარტია უფრო მშვიდად მიმდინარეობდა და მანევრული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა მე-35 სვლაზე.

ბოლესლავსკი ჯერ კიდევ ავად არის და ამიტომ მისი და ლილიენტალის პარტია არ გათამაშებულა.

სამი ტურის შემდეგ წინ აწია ბოტვინიკი, რომელსაც 2 ქულა აქვს 2 შესაძლებელში. კერესსაც 2 ქულა აქვს, მაგრამ მან უკვე 3 პარტია ითამაშა.

ხვალ შესდგება მეოთხე ტური. ერთმანეთს შეხვდებიან ბოტვინიკი-ბონდარეფსკი, ლილიენტალი-კერესი და ბოლესლავსკი-სმისლოვი.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. ვ. ა. მიკინი, ვ. გ. ტროხოვი და ი. კ. ხმელევსკი. (საკდსი).

ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲡᲐᲖ. ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ)

ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, რომელსაც ორასზე მეტი კაცი დაესწრო, საფუძვლიანად განიხილეს პარტიისა და მთავრობის დადგენილება სასოფლო-მეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ. ამავე კრებაზე გულდასმით გაეცნენ აგრეთვე მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მოწოდებას სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სიტყვით გამოსულმა კოლმეურნეებმა გააკრიტიკეს შრომის ანაზღაურების დღემდე არსებული პრაქტიკა. შარშან ხასან ყურშუბაძის ბრიგადამ ჩაის მწვანე ფოთლის კილოფის წლიური გეგმა 104,9 პროცენტით შეასრულა, მოკრეფილი ფოთლის 79,1 პროცენტი ბრინჯაოს ხარისხისა იყო. გეგმის შესრულებაში ასეთი წარმატება არცერთ ბრიგადას არ ჰქონია. ხ. ყურშუბაძეს კარგად უხელმძღვანელა ბრიგადას და ამაყე დროს 420 შრომადღის გამომუშავებაც მოახერხა. მამედ ყურშუბაძის ბრიგადამ კი ჩაის კილოფის გეგმა მხოლოდ 90,5 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისა 65 პროცენტს არ აღემატებოდა. ორივე ბრიგადირის შრომა თანაბრად აუნაზღაურდათ.

ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მახარაძელთა ინიციატივას და 1941 წლის გეგმებიდან გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის სოციალიზმში გამოიწვია სოფ. ხუეკუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა.

ჩაისუბნელმა კოლმეურნეებმა იკისრეს: გეგმით გათვალისწინებული 220.000 კილოგრამის ნაცვლად წელს სახელმწიფოს ჩაბარონ 230.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლი, აქედან 85 პროცენტი პირველი ხარისხისა, სავსებით მოსპონ ჩაის პლანტაციების სიმეჩხერე, ჩაატარონ 4 სავალდებულო თოხნა და იქონიონ პლანტაციები სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში. კოლმეურნეობაში წელს პირველად დაითესა სიდერატები 9 ჰექტარზე, საკოლმეურნეო ბრიგადებში გასულ წელს არსებული 17 სეზონური რგოლის ნაცვლად ეწყობა 45 მუდმივი რგოლი, გაშენდება ციტრუსები 8 ჰექტარზე, ბამბაკი — 1,5 ჰექტარზე, ბალბაქი 17.000 ძირი ევკალიპტი, მოეწყობა საბავშვო ბაღი, საკოლმეურნეო კლუბი, აიგება მინერალური სასუქების საწყობი 400 ტონის ტევადობით, 3 კილომეტრზე გაიყვანენ ახალ სალანტაციო გზას და სხვ.

ბრიგადირმა ჰაიდარ ყურშუბაძემ იკისრა მიიღოს ჰექტარზე საშუალოდ 3500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლი, ცალკეულ ნაკვეთებზე 6.000-7.000 კილოგრამი და პირველი ხარისხის ფოთლის რაოდენობა აიყვანოს 85 პროცენტამდე. ახალი ვალდებულებანი იკისრეს მოულმა რიგმა ბრიგადირებმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ომერ ფაღავას წინადადებით კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაიწესა 2 წლიანი გარდამავალი ფაზა სოციალიზმში გამარჯვებული ბრიგადებისა და რგოლების დასაჯილდოებლად.

ტ. აცაველი

საგაზაფხულო კულტურებისათვის მიწის ათშვა გორის რაიონის სოფ. თორტბოს კოლმეურნეობაში. ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ, ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠ.). შესდგა გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი.

თათბირზე განიხილეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება. მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ფეიქრიშვილი. თათბირმა განიხილა აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მიმართვა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ი. კავილაძემ.

სოფ. ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. სირაძემ განაცხადა: კოლმეურნენი უდიდესი სიხარულით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას, რომელიც ბოლოს უღებს კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურების გათანაბრებას. პარტიისა და მთავრობის ეს მზრუნველობა გვავალებს ვიმუშაოთ უფრო თავდადებულად, უკეთესად. ჩვენი კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ ჰექტარზე საშალოდ მიიღოს 12 ცენტნერი ხორბალი, 15 ცენტნერი მზესუმზარა, 25 ცენტნერი სამნინდი და 70 ცენტნერი ყურძენი. მეძროხეობის ფერმაში ნამატი მთლიანად შეინარჩუნოს, თვითეული ძროხაზე მიიღოს 800 ლიტრი რძე. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწევთ სოფ. შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობას.

სოფ. გურჯაანის ოჭტომბრის რეგიოლეციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. გიორგაძემ განაცხადა: ვემბებით რა შეჯიბრებაში სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენასთან", ვკისრულობთ 70 ჰექტარ მსხმოიარე ვენახზე თვითეულ ჰექტარზე საშალოდ მივიღოთ 85 ცენტნერი ყურძენი, ცალკე ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით კი 90-100 ცენტნერი, თავთავიანი მარცვლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 15 ცენტნერი, სიმინდისა — 30 ცენტნერი.

ახალი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე სოფ. ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის" თავმჯდომარემ ამხ. შ. ფხალაძემ, კაჭრეთის მტკონის დირექტორმა ამხ. ალ. მეტრეველმა, კაჭრეთის უბნის აგრონომმა ი. ნანობაშვილმა, მელაანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. სიხოშვილმა და სხვ.

თათბირმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილება და დასახა ღონისძიებანი ამ დადგენილების განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ერთხმად დაუჭირეს მხარი სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების წინადადებას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. გურჯაანის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გაძიოწვია ოელავანა და საგარეჯოს რაიონნი.

ამავე თათბირზე გარდამავალი დროშები გადაეცათ იმ სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს, რომელთაც 1941 წლის პირველი კვარტალის გეგმები ვადამდე შესრულეს.

შ. მაჭავარიანი

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ ᲜᲐᲙᲘᲡᲘᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲝᲠ.). წმორის კოლმეურნეობა „გლეხის სინათლეში" დღეი წარმატებით მიმდინარეობს. შეეხვეურეობის ფერმაში უკვე დადოლებულია 700 დედა-ცხვარი. აქედან 6 ცხვარმა ტყუპი ბატკანი მოიგო. ხოლო 3 ცხვარმა თვითეულმა სამი ბატკანი. ყველა ბატკანი ცოცხალია და მოწონსავე მწყემსების თ. მოლაშვილის, ი. ჯავაშვილის, ვ. ბერიაშვილის და ს. ბერიაშვილის მხრუნველობით იზრდებიან. 700 დედა-ცხვარზე მიღებული 713 ბატკანი მთლიანად შენარჩუნებულია.

ცხვრის ნამატს საუცხოოდ უვლიან წმორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე—ბ. მჭედლიშვილი). 1.200 დასაწყისიდან ცხვრიდან დადოლდა 1.051 დედა-ცხვარი. მიღებულია 1.024 სული ბატკანი, ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია.

დღეი კარგად მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" (თავმჯდომარე—გ. ქადაგიშვილი). 2.600 სული დედა-ცხვრიდან დადოლებულია 2.000 სული, შენარჩუნებულია 2.005 სული ბატკანი. ა. ყანდაშვილის ბრიგადაში 1.000 სული დედა-ცხვრიდან დადოლდა 800 სული, მიღებული და შენარჩუნებულია 810 ბატკანი. ამ ბრიგადაში მწყემსი ლ. ვარსიმაშვილი არ იშურებს ენერგიას ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ კოლმეურნეებში აღაფრთოვანა ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის საბრძოლველად. სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ ჩაღდება. კოლმეურნეები დიდი ენერგიით შეუდგნენ სოციალისტურ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ი. ბალიაშვილი

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲦᲐ

გურჯაანის რაიონის სოფ. მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებაში" სოციალისტურ ახალი ძალით გაჩაღდა. კოლმეურნეები, შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებით აღფრთოვანებულნი, ებრძვიან ახალ ვალდებულებებს და წარმატებით იბრძვიან მათი შესრულებისათვის. ალნინშული დადგენილება და სიღნაღლოთა მოწოდება უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველეყოფის შესახებ ფართოდ განხილეთ როგორც საერთო კრებაზე, ისე ბრიგადებსა და რგოლებში. ვიბრძვით იმისათვის, რომ ჰექტარზე მივიღოთ 12 ცენტნერზე მეტი თავთავიანი მარცვლეული, 70 ცენტნერი ყურძენი, 28 ცენტნერი სიმინდი, 60 პროცენტამდე პირველხარისხოვანი ნამყენი და სხვ. კოლმეურნეობაში ფართოდ გაშლილი სოციშეჯიბრების საფუძველზე ბრიგადირები: გ. მღებრიშვილი, გ. ხაჩიშვილი, შ. ნაღირაშვილი და ბ. მღებრიშვილი იბრძვიან ჰექტარზე საშალოდ 90 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის, მყნობელი ლ. ხაჩიშვილი—75 პროცენტი პირველხარისხოვანი ნამყენი, ხოლო საბეღა საგინაშვილი კოლოფ თესლზე 60 კილოგრამი ბარკის მოვლისათვის.

კოლმეურნე ფ. დოლმაზაშვილს წელს თითო ღორზე ფერმაში უკვე ჰყავს შენარჩუნებული 10 ბოჭი. იგი ახლა სანიმუშოდ უვლის პირუტყვს და გადაწყვეტილი აქვს უზრუნველყოს კიდევ 10-10 ბოჭის მიღება.

პარტიისა და მთავრობის 1941 წ. 13 მარტის შესანიშნავმა დადგენილებამ აღგაფრთოვანა გეგმების ვადაზე ადრე, გადაჭარბებით და ხარისხიანად შესრულებისათვის. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა ვენახის ყველა ადრეული საგაზაფხულო სამუშაო. ფარნობები დამუშავებულია, ვენახების ძირები გასუფთავებულია, ვაზი გასხლული, შესარული და აკრულია.

ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების მიზნით სოციშეჯიბრებაში გამოვიწვიეთ სოფ. გურჯაანის ოქტომბრის რეგოლუციის სახელობის კოლმეურნეობა, ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა სახელით პირობას ვაძლევთ საუკეთესო პარტიასა და მთავრობას, რომ უზრუნველეყოფთ მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებას.

სოფ. მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანების" თავმჯდომარე ბ. ანწრიაშვილი

ბრიგადირები: ბ. მღებრიშვილი და შ. ნაღირაშვილი

რგოლის ხელმძღვანელი ნ. მანთაშაშვილი

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘ (საკდსი). რაიონის კოლმეურნეობებმა წელს შემოდგომაზე 26 ჰექტარი ვენახი ესწავ გააშენონ, ისინი კი ამ გაზაფხულზე თავიანთი ინიციატივით გეგმის გარეშე ამშენებენ 16 ჰექტარ ახალ ვენახს. სოფ. ალის კოლმეურნეობა 3,5 ჰექტარ ვენახს აშენებს, ფლევანა — 1,5 ჰექტარს, ბიჯნისისა — 1 ჰექტარს და სხვ. ამ გაზაფხულს გასაშენებელი ვენახისათვის ნიადაგი სავსებით მზად არის და სანერგე მასალაც მომზარაგებულია.

სოფ. ტბილისკარის კოლმეურნეობას წელს 1 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაეშენებინა. მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელმა ვანო ხაჩიძემ ნიადაგი თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავა და ვენახის დარგვაც უკვე დაამთავრა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲙᲝᲛᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

„ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲪᲮᲔᲚᲘ" ᲡᲐᲰᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიანიჭოს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეებს და გამომგონებლებს, რომელთაც სტალინის პრემია მიიღეს, „სტალინის პრემიის ლაურეატის" სახელწოდება.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭომ დადგენილება მიიღო სტალინის პრემიების გაცემის წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სტალინის პრემიების გაცემა დაადგინა:

ა) მეცნიერების დარგის ნაშრომისათვის და გამომგონებისათვის — მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინის პრემიათა კომიტეტს;

ბ) ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის ნაშრომებისათვის — ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინის პრემიათა კომიტეტს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ ავტორთა კოლექტივებისათვის მიკუთვნებული სტალინის პრემიები გაიცემა შემდეგი წესით:

ა) თუ კოლექტივი ორი კაცისაგან შესდგება, პრემია თანაბრად იყოფა მათ შორის; ბ) თუ კოლექტივი სამი კაცისაგან შესდგება, ხელმძღვანელს ეძლევა პრემის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი თანაბრად იყოფა ორ დანარჩენს შორის; გ) თუ კოლექტივი ოთხი და მეტი კაცისაგან შესდგება, ხელმძღვანელს ეძლევა პრემის მესამედი, ხოლო ორი მესამედი თანაბრად იყოფა კოლექტივის დანარჩენ წევრებს შორ

ბოლშევიკურად განვახორციელოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი

ბოლომდე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მრეწველობასა და ჩრანსპორტის მუშაობაში

მთავარია შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია

მრეწველობისა და ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო კომისარიატების კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას საწარმოებსადმი.

სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელმა მუშაკებმა კონკრეტულად რომ უხელმძღვანელონ სამრეწველო საწარმოებს, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ისინი ჩასწავლონენ საქმის დედაარსს, ზედმიწევნით გაერკვნენ მათ მუშაობის ნაკლოვანებებში, პრაქტიკულად დაეხმარონ ამ ნაკლოვანებათა ბოლშევიკურად აღმოფხვრაში და უზრუნველჰყონ საწარმოო დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არ ამოწმებენ ამათუიმ სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებათა შესრულებას სამრეწველო საწარმოთა დირექტორების მიერ. რა თქმა უნდა, უმთავრესად ეს გამოწვეულია იმით, რომ „...მათ არ ესმით, რომ გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ დასაწყისია საქმისა და რომ გადაწყვეტილებანი მიიღება არა თვით გადაწყვეტილებათათვის, არამედ შესასრულებლად. არ ესმით, რომ ხელმძღვანელი მუშაობის მთავარ ნაწილს უნდა შეადგენდეს არა სასხდომო მუშაობა და არა გადაწყვეტილებათა მიღება, არამედ ამ გადაწყვეტილებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება“. (გ. მ. მალენკოვი).

საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი დირექტორები და ბრძანებები შეუსრულებელი რჩება საწარმოთა დირექტორების მიერ. მაგალითად, ამ კომისარიატის 1940 წ. 25 ნოემბრის ბრძანება № 886 თბილისის ძაფსართავი ფაბრიკისადმი არ არის შესრულებული. სახალხო კომისარიატის ბრძანება ფაბრიკისაგან მოითხოვდა ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების აღმოფხვრას, მაგრამ ამაოდ. ფაბრიკის დირექტორმა აღნიშნულ ბრძანებას მიღებისთანავე დაადო რეზოლუციაა: „საქმეში“. მართლაც ეს ბრძანება ინახება საქმეში, ხოლო ფაბრიკა კვლავ ძველებურად განაგრძობს მუშაობას.

კიდევ ერთი მაგალითი იმავე წარმოებიდან. ზემოთაღნიშნული სახალხო კომისარიატის ბრძანება, რომელიც დათარიღებულია 10/IX-1940 წ., მაფსართავი ფაბრიკისაგან მოითხოვდა არსებულ მოწყობილობათა სწორ აღრიცხვას და ნედლი/ მასალის მომპარნეობით ხარჯვას. ფაბრიკის დირექციამ ამ ბრძანების საფუძველზე შეადგინა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც შეეხება ყველაფერს, გარდა მთავარისა, სახალხო კომისარიატის მიერ მითითებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა. ასეთი არაფრის მთქმელი, ზოგადად შედგენილი ღონისძიებების გამოტანას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ საწარმოს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გასული წლის პირველ თებერვალს გასცა სპეციალური ბრძანება თბილისის ბამბის ფაბრიკისადმი. სახალხო კომისარიატი ამ ბრძანებით მოითხოვდა ბამბის ფაბრიკაში არსებული მოწყობილობის მოცდენის შემცირების და ტანსაცმლის ბამბის საამქროს მუშაობის მოწყობას. ამ ფაბრიკის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა ამხ. იოსელიანმა ეს ბრძანება დიდი ხნის დაგვიანებით განიხილა და გვარწმუნებდა, თითქოს მან მიიღო სათანადო ზომები არსებული ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მაშინ როდესაც სინამდვილეში აქ არაფერი არ გუეკეთებიათ აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიადსაკავშირო კონფერენციის მიერ ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში გარკვევით აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციები უნდა ეხმარებოდნენ სახალხო კომისარიატებსა და მთავარ სამმართველოებს საწარმოთა დირექტორების შემოწმებაში, საწარმოთა მიერ სახალხო კომისარიატების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში.

მაგრამ ამ მიმართულებით ძაფსართავი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს. ამას დასტურებს ზემომოყვანილი ფაქტები. თუ საწარმოს ხელმძღვანელმა სახალხო კომისარიატის ბრძანებას მიღებისთანავე დაადო რეზოლუციაა: „საქმეში“, მაშინ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას ხომ შეეძლო ეს ყველაფერი გამოეტანა მზის სინათლეზე, ანდა ფაბრიკის დირექტორის ასეთი მოქმედება გაეხადა პარტიული ორგანიზაციის კრების მკაცრი მსჯელობის საგნად, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა არასოდეს არ უნდა დაიგიწყონ ის, რომ მთავარია შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია, რომ ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ სახალხო კომისარიატებს სამრეწველო საწარმოთა მიერ სახალხო კომისარიატების ბრძანებების შესრულების შემოწმების საქმეში.

ბრ. ოდიშელი



თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის პარტიიაროს მდივანი ამ ხ. ვ. როსტაშვილი (მარცხნიერ) იცნობა ტექნოლოგიურ პროცესს საამქროში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გეგმები არ სრულდება, მუშაობა ძველებურად გრძელდება

(თელავი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში ჯერ კიდევ სერიოზულად არ იგრძნობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებისა და ამხ. მალენკოვის მოხსენების შესწავლა - განხილვის შედეგად გამოწვეული საწარმოო აღმავლობა. ფაბრიკაში დამყარებული არ არის სრული წესრიგი, სისუფთავე და კულტურა. ფაბრიკის ცვლები, საამქროები და ბრიგადები აწყობილად, გეგმიანად, თანაზომიერად არ მუშაობენ.

გასული სამეურნეო წელი ფაბრიკამ გარღვევით დაამთავრა, ქვეყანას დააკლო 4 ტონამდე დამუშავებული გრეჯა. მეთვრამეტე პარტიული კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა გამოსულიყო გარღვევიდან. ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მხრივ იანვარში მიღწეულ იქნა წარმატება, 100,1 პროცენტით შესრულდა გრეჯის ამოხვევის გეგმა. მაგრამ ეს წარმატება შემდეგში ვერ იქნა შენარჩუნებული. თებერვალში ფაბრიკამ გეგმა მხლოდ 90,7 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის არათანაბარი გამოშვების პრაქტიკა აქ ჯერ კიდევ ძალაშია. თებერვლის პირველ დეკადაში ამოხვეულ იქნა დავალების 94,7 პროცენტი, მეორე დეკადაში — 97,9 პროცენტი, მესამე დეკადაში — 92,8 პროცენტი. სამარტენინა ჩამორჩენაა მარტშიც. მარტის პირველ დეკადაში ამოხვეულია 1.387 კილოგრამით ძაფი, ნაცვლად 1.793 კილოგრამისა, მეორე დეკადის საწარმოო პროგრამა შესრულებულია მხლოდ 74,6 პროცენტით.

ფაბრიკაში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. 1940 წელს 439 მუშადან 358 სისტემატიკურ ასრულებდა საწარმოო პროგრამას. 5.190 მანეთის (უცვლელ ფასებში) პროდუქცია უნდა შეექმნა თვითეულ მუშას 1940 წელს, მაგრამ ეს დავალება არ შესრულებულა, თვითეულმა მუშამ შექმნა სულ-შეალოდ 5.045 მანეთის პროდუქცია. გადიდდა პროდუქციის თვითღირებულება. ერთი კილოგრამი გრეჯის ამოხვევა შარშან 218 მანეთისა და 70 კაპიკის ნაცვლად 220 მანეთი და 91 კაპიკი დაჯდა.

პროდუქციის თვითღირებულების გაზრდის მხრივ უარესი მდგომარეობაა მიმდინარე წელს. იანვარში ერთი კილოგრამი ძაფის დასამზადებლად 23 მანეთზე მეტი გაიცა, თებერვალში ერთი კილოგრამი გრეჯის ამოხვევა ეგვმთ ათვალსწინებული 226 მანეთი და 5 კაპიკის ნაცვლად 247 მანეთზე მეტი დაჯდა. იანვარ-თებერვალში პროდუქციის თვითღირებულების გადიდებით გამოწვეულმა ზედმეტმა ხარჯებმა 233.357 მანეთი შეადგინა. იანვარსა და თებერვალში ფაბრიკამ იზარალა 1.800 მანეთი.

ფაბრიკაში დაცული არ არის საწვავის ხარჯვის ნორმები. ამ მხრივ დიდ გადახარჯვებს აქვს ადგილი, ფაბრიკის ხელმძღვანელობას სურდაა არ ადარდებს ის ფაქტი, რომ საწვავ-საცხებ მასალებში გადახარჯვა ადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას. 1940 წელს გადახარჯულ იქნა 50.000 მანეთის საწვავ-საცხები მასალა. მიმდინარე წლის იანვარში უნდა დახარჯულიყო 218 ტონა ქვანახშირი და 14,3 ტონა მაზუთი, ფაქტიურად დაიხარჯა 259 ტონა ქვანახშირი და 18,2 ტონა მაზუთი. თებერვალში მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო დავალება არ შესრულებულა, საწვავ-საცხებ მასალებში გადახარჯვებს მაინც ჰქონდა ადგილი, ქვანახშირი დაიხარჯა 255 ტონა, ნაცვლად 218 ტონისა და მაზუთი 16,9 ტონა, ნაცვლად 14,3 ტონისა. ასევე გრძელდება მარტშიც. ფაბრიკის ხელმძღვანელობა მკაცრად გაკარტიკა იმ სახალხო კომისარიატების მუშობა, რომლებიც მათიდან დაკვეთილ ფაბრიკებსა და ქარხნებს ცოცხალ ხელმძღვანელობას არ უწევენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი სუსტად ხელმძღვანელობს თელავის აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკას. აი ამის ფაქტები: ფაბრიკაში დიდხანს იყვნენ მოკალთებული „რაციონალიზაციის“ და „გამოგონების“ მოყვარული ადამიანები (შენგელია, მანჯგალაძე და სხვ.), რომლებიც მხლოდ ფულის აღებით იყვნენ დაინტერესებული. ფაბრიკის ყოფილმა მთავარმა მექანიკოსმა შენგელიამ წამოაყენა „რაციონალიზატორული“ წინადადება იმის შესახებ, რომ პარკის სახარში ქვაბებიდან მოეხსნათ სუფთა წყლის მიმწოდებელი მილები და სუფთა წყლის მიწოდება სახარში ქვაბებისათვის ეწარმოებინათ იმავე მილებით, რომლითაც ჭუჭყიანი წყალი გადიოდა. ეს წინადადება მოიწონა საქ. საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა. ფაბრიკის დირექციამ ეს წინადადება ცხოვრებაში გაატარა და შენგელიას ჯილდოდ რამდენიმე ათასი მანეთი მისცა. ამ ეგრეთწოდებული „რაციონალიზაციის“ გატარებამ გამოიწვია ძაფის ხარისხის გაუარესება და ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა. ამ ფაქტს სერიოზულად ჩაუფიქრდნენ ამხანაგები საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატში და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა აღდგენილ იქნას სახარში ქვაბებისათვის სუფთა წყლის მიმწოდებელი მილები. ახლა ამაზე რამდენიმე ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს.

აღნიშნული სამუშაოს ჩატარება კომისარიატის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე თვეში. ამის შესახებ ფაბრიკაში მიღებულია საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატ. რუხაძის 5 მარტის ბრძანება №160, რომელიც ფაბრიკაში მიღებულია 7 მარტს. ბრძანება დირექციას ავალებს 15 მარტამდე დაამთავროს ქვაბებში წყლის მიმწოდებელი მილების გადაკეთება. ამავე ბრძანებით ამხ. რუხაძე სახ. კომისარიატის მომარაგების განყოფილებას ავალებს 15 მაისამდე უზრუნველჰყოს თელავის ძაფსაღებ ფაბრიკაში საჭირო მილებისა და სხვა ნაწილების გაგზავნა. მუშაობა კი ჯერ არ დაწყბულა.

მიმდინარე წლის მაისში გათვალისწინებულია ფაბრიკის სახურავის გამოცვლა და დაზგა-დანადგარების რემონტი. ამისათვის საჭიროა ფაბრიკაში მუშაობის ერთი თვით გაჩერება. მაგრამ საჭიროა მასალებით წინასწარი მომარაგება. მოსამზადებელი სამუშაოების ჩასტარებლად ფაბრიკა დღემდე არ არის მომარაგებული. არის იმის საფრთხე, რომ ამ სამუშაოების გაჭიანურებამ შეიძლება გამოიწვიოს ფაბრიკაში მუშაობის შეჩერება ერთ თვეზე უფრო მეტი ხნით, კომისარიატი კი ამის თავიდან ასაცილებლად ზომებს არ იღებს.

კიდევ ერთი მაგალითი. გასული წლის ივნისში ავარია განიცადა ელექტროსაამქროში ერთერთმა დიდმა ძრავმა. საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა იკისრა მისი კაპიტალური რემონტი, რაც 8 თვეს გაჭიანურდა, მაგრამ მაინც უხარისხოდ ჩატარდა, ძრავი დიდი შეფერხებებით მუშაობს. მისი კაპიტალური რემონტისათვის 69 ათას მანეთამდე დაიხარჯა, რაც უდრის ძრავის საბალანსო ღირებულებას. 5 თვეზე მეტია ჭიანურდება მეორე ძრავის რემონტი. გასულ წელს ჩაეშალა აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი ბინებისა და საპეშენებლების გეგმის შესრულება.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის მუშაობაში არსებულ ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის საჭიროა ფაბრიკისადმი საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, აგრეთვე ფაბრიკის დირექციის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ძირეულად გარდაქმნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჯ. აფხაზავა

ვიმუშაოთ დანესებული გრაფიკის მიხედვით

ბათუმი („კომუნისტის“ კორ.). ბათუმის რკინიგზის კვანძის სტეგორთო სადგურის პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი—ამხ. ვ. გოგეშვილი) სუსტად იბრძვის საკ. კ. პ. (ბ) XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. სადგურის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ისეთივე ხასიათისაა, როგორზედაც ამხ. მალენკოვი მიუთითებდა თავის მოხსენებაში XVIII პარტიულ კონფერენციაზე. მაგრამ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის აქ ჯერ კიდევ მიღებული არ არის საჭირო ზომები.

სადგურის მუშა-მოსამსახურეთა შორის სუსტად არის გაშლილი საგაგიტაციო მუშაობა. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ იცნობს საკ. კ. პ. (ბ) XVIII პარტკონფერენციის მასალებს. მაგალითად, სადგურის მორიგე ამხ. ივ. ცქიფურიშვილი, რომელიც ამავე დროს ტექნიკური ცვლის პარტკგეფფორგად ითვლება, არ გასცნობია ამხ. მალენკოვის მოხსენებას.

დღემდე ვერ დაინერგა მტკიცე გრაფიკით მუშაობა. მიმდინარე თვის ორ დეკადაში სადგურს არცერთი დღის დავალება არ შეუსრულებია. ყოველდღიური საწარმოო გეგმები არ სრულდება იმიტომ, რომ ადგილი აქვს ვაგონების ბრუნვის ნორმების დარღვევას, არ არის დაცული სავეზო მატარებლის ბრუნვის გრაფიკი. უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით მარტის დასაწყისიდან, ქვანახშირის მოცდენა 4-5 საათითაც ხდება. ვაგონების ბრუნვის ნორმების დარღვევაში ერთის მხრივ ბრალი მიუძღვის ბათუმის ნავსადგურსაც, რომელმაც ვერ უზრუნველჰყო მიწოდებული ვაგონების დროულად გამოყენება. მაგრამ ეს სადგურს როდი ამართლებს. ის მოვალეა წესრიგი დაამყაროს მუშაობაში, ზუსტად დაიცვას მიცემული გრაფიკი.

ამ საქმეს პარტიული ორგანიზაცია უნდა ჩაუდგეს სათავეში. აქ კი ასე არ ხდება. ქვაბების მოცდენამ და მშრალტვირთოვანი ვაგონების ბრუნვის ნორმების დარღვევამ ხელი შეუწყო სადგურში ტვირთიანი ვაგონების დაგროვებას, რაც იწვევს ნორმალური მუშაობის შეფერხებას.

სადგურის პარტორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მან ყოველდღიური კონტროლი უნდა გაუწიოს სისუფთავისა და წესრიგის დაცვას, საწარმოო გეგმების შესრულებას.

კ. დოგოლაზგინიძე

პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულდა

მაუდ-კამფოლის ფაბრიკა

თბილისის მაუდ-კამფოლის ფაბრიკის მუშათა კოლექტივმა 1941 წლის პირველ კვარტალის საწარმოო დავალება 26 მარტისათვის 100,01 პროცენტით შესრულა. გამოშვებულია 2.234.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

გეგმა ფაბრიკის ყველა საამქრომ შეასრულა.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალად იღო გეგმის გადამატებით მისცეს ჩვენს ქვეყანას 176 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

(საქდესი).

ლითონკონსტრუქციის ქარხანა

თბილისის ლითონკონსტრუქციის ქარხანამ 1941 წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა 26 მარტისათვის 147,1 პროცენტით შეასრულა. ქარხანას პირველ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა 850 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად კი 1.250 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა.

ქარხნის კოლექტივი პირველი კვარტალის დამლევამდე გეგმის გადამეტებით მისცემს ჩვენს ქვეყანას 550 ათასი მანეთის პროდუქციას. (საქდესი).

კვარტალური გეგმა ვადამდე შეასრულეს

** კასპი,** (საქდესი). XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად კასპის ცემენტის ქარხანამ დიდად გაუმჯობესა მუშაობა. ქარხანას არასოდეს არ შეუსრულებია პირველი კვარტალის გეგმა, წელს კი ექვსი დღით ადრე და 104 პროცენტით შეასრულა. გეგმა ყველა საამქროს გადაჭარბებით აქვს შესრულებული. ქარხანა სისტემატურად ასრულებს დეკადურ და თვიურ დავალებებს. იანვრის გეგმა შესრულებული აქვს 113 პროცენტით, თებერვალსა — 117 პროცენტით . ასევე წარმატებით შეასრულა მან მარტის გეგმაც.

საჯაჭვო მრეწველობის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის და რკინიგზის მშენებლობის საუბრიკო-საქარხნო სკოლებში განვევის მიმდინარეობის შესახებ

ზრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში

უკვე 6 დღეა სწარმოებს კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. ამ დროის განმავლობაში გამწვევმა კომისიებმა გაიწვიეს 72.567 კაცი, ანუ გასაწვევთა საერთო კონტინგენტის 68,4 პროცენტი, აქედან სატყეო მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულია 37.906 კაცი, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სკოლებში — 14.613 კაცი და რკინიგზის მშენებლობის სკოლებში — 20.048 კაცი.

გამწვევ კომისიებში კოლმეურნე და სოფლის სხვა ახალგაზრდობისაგან შემოსულია 66.000-ზე მეტი განცხადება იმის შესახებ, რომ მათ სურთ შევიდნენ სატყეო მრეწველობის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის და რკინიგზის მშენებლობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში.

განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს გაწვევა ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, თათარეთის ასს რესპუბლიკაში, ვოლგადის, კალინინის, კიროვის, რიაზანის, სმოლენსკის ოლქებში.

25 მარტს დამთავრდა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში გაწვევა მოლოტოვის, ტამბოვის, ხარკოვისა და ჩკალოვის ოლქებში. (საქდესი).

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა კულტურული მოსახურება

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დადგენილება მიიღო სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების მოსწავლეთა შორის კულტურულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობის შესახებ. პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გამართონ ხოლმე კულტურის სასახლეებსა და კლუბებში დასვენებისა და მხატვრული თვითმოქმედების დილები და სადამოები, წარმოების მოწინავეთა ადამიანებთან შეხვედრები, სხვადასხვა მოხსენებანი და ლექციები. გამოსასვლელ დღეებში მოსწავლეებისათვის ცინოსეანსები.

პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული ყოფილ ნაბან სასწავლებლებისა და სკოლების მოწყობენ ტექნიკურ, მხატვრულ თვითმოქმედებისა და სხვა წრეებში. საჭიროა, რათა კლუბის აქტივი დაეხმაროს სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებს და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებს შეჰქმნან სასწავლებლებთან თვითმოქმედი კოლექტივები.

პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა სასწავლებლებისა და სკოლების საერთო საცხოვრებლებთან უნდა მოაწყონ მოძრავი ბიბლიოთეკები და უზრუნველყონ სხვადასხვანაირი ლიტერატურით. (საკდესი).

სასწავლო-საწარმოო საბჭო შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოსთან

სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში საწარმოო სწავლების მეთოდიკისათვის ხელმძღვანელობის უკეთ გასაწევად, შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოსთან შექმნილია სასწავლო-საწარმოო საბჭო.

საბჭო 31 კაცისაგან შეადგება. საბჭოს წევრთა შორის არიან — წარჩინებული მოდგილი ამხ. გუდოვი, ორდენოსანი კალაკოზი ამხ. ორლოვი, მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის და სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პროფესორი ამხ. რახდობრეევი, ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ საკლინაკი საამქროს ოსტატი ამხ. ტურტანოვი, საკ. ალკ ცენტრალური კომიტეტის, პროფესიული კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელი და შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების დირექტორები და ოსტატები. (საკდესი).

ელექტროშედუღების ინსტრუქტორთა მომზადება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. მოსკატოვმა ბრძანება გასცა იმის შესახებ, რომ მოეწყოს ავტომატური ელექტროკალური შედუღების 2.400 ამწყობ ინსტრუქტორთა მომზადება. ინსტრუქტორების მომზადებენ ლენინგრადის, დნეპროპეტროვსკის, ნიჟნი-ტაგილის, ბაკოს, კიევის, ნიკოლაევის, სვერდლოვსკის, ხარკოვის, როსტოვის, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ქ. მიტიშჩის გემმშენებლობისა და მეტალურგიული მრეწველობის სახელოსნო სასწავლებლები.

ელექტროშედუღების მომავალ ინსტრუქტორთა სწავლებისათვის სპეციალურ დაზგებს ამზადებენ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის სახელოსნო სასწავლებლებში.

1 მაისისათვის შეიქმნება ოსტატთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთთვიანი კურსები, რომლებსაც დაეკვრება ახალი კადრების სწავლება. (საკდესი).

სსრ კავშირის პროკურატურაში

უკანასკნელ დღეებში პროკურატურის ორგანოებმა აღმოაჩინეს მრავალი ახალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ხშირად ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „მოწყობილობისა და მასალების სხვებისათვის მიყიდვის, გადაცვლის და გაცემის აკრძალვის და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისგების შესახებ“.

○

1941 წლის იანვარში ქ. გორკში ტრესტი „პრიდონტაფის“ ჯგუფის უფროსმა მირონშინჩკომ უკანონოდ მიჰყიდა ნრ 1 წისქვილის ქარხნის მომარაგების უფროსს, ფრეიდინს 10 ტონა ფურცლოვანი რკინა.

ნაყიდი რკინის საფასური — 5.567 მანეთი ბანკის საშუალებით გადარიცხული იყო „პროდმონტაჟის“ კანტორის ანგარიშზე ა. წ. 8 თებერვალს, მაგრამ წისქვილქარხანას ა. წ. 11 თებერვლამდე რკინა არ მიუღია.

მოქ. ფრეიდინმა, როცა დილით რადიოთი მოისმინა 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების ტექსტი, საჩქაროდ მისცა თავის აგენტ ბოგდანოვს მირონშინჩოლმა „პროდმონტაჟის“ კანტორიდან რკინის მიღებაზე.

„პროდმონტაჟის“ კანტორის ბუხალტერიაში დოკუმენტების გაფორმებისას, ამ კანტორის მუშაკებმა — ტიშკოვიჩმა და სემენიკოვმა, რომლებსაც მიეღებოდა ქქონდათ გაზეთები 10 თებერვლის ბრძანებულების ტექსტებითურთ, მოქ. მირონშინჩკოს განუცხადეს, რომ ფურცლოვანი რკინის გაყიდვა და გაცემა არაკანონიერი იყო, რადგან ეს იყო ბრძანებულების პირდაპირი დარღვევა. მაგრამ მირონშინჩკომ მაინც გასცა ბრძანება რკინის მიცემის შესახებ და იგი რამდენიმე დღის განავლობაში პარტიებად მისცეს წისქვილქარხანას.

ა. წ. 27 თებერვალს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მოქ. მირონშინჩკოსა და ფრეიდინის წინააღმდეგ და ისინი სამართალში მისცა.

გორკის ოლქის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ეს საქმე სასამართლოს სხდომაზე გაიხილა ა. წ. 12 მარტს და მოუსაჯა: მირონშინჩკოს 3 წლის და ფრეიდინს 2 წლის პატიმრობა.

მირონშინჩკო და ფრეიდინი დაპატიმრებული არიან.

○

ქალ. კურსკში კურსკის სპირტტრესტის მომარაგების უფროსმა ზახაროვმა უკანონოდ მიჰყიდა „მესტპრომსნაბსბიტის“ წარმომადგენელს მისცა, რომელიც ა. წ. 7 თებერვალს გამოცხადდა გამოწერილი მინდობილობით.

ზახაროვმა, თუმცა იცოდა, რომ 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება გამოქვეყნებული იყო, მაგრამ მაინც მისცა მილები „მესტპრომსნაბსბიტის“.

პროკურატურამ ამ საქმის გამოძიება დაამთავრა და სამართალში მისცა ზახაროვი.

კურსკის საოლქო სასამართლომ ეს საქმე განიხილა და ზახაროვს 2 წლის პატიმრობა მოუსაჯა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების დარღვევისათვის.

○

ქალ. ნოვოსიბირსკში ტრესტის მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილემ — სმირნოვმა 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება დაარღვევა და არტელ „ქიმიკს“ მიჰყიდა 621 კილოგრამი ფისი, 11 კილოგრამი ლურსმანი და სხვა მასალა, სულ 6.000-მდე მანეთისა.

პროკურატურამ ტრესტის მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილე სმირნოვი და არტელ „ქიმიკის“ მომარაგების განყოფილების გამგე ერემინი პასუხისგებაში მისცა სისხლის სამართლის წესით.

სასამართლომ სმირნოვსა და ერემინს, 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად, ორ-ორი წლის პატიმრობა მოუსაჯა.

გარდა ამისა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის 1 წლის შრომაგასწორების მუშაობა მიესაჯა არტელ „ქიმიკის“ გამგეობის თავმჯდომარეს—ილინინს. (საკდესი).

ომი ევროპასა და აფრიკაში

(საომარი მოქმედების დღიური)

ინგლის-გერმანიის ფრონტზე ერთგვარი სწყნარაობა. გერმანიის სარდლობა ცნობაში აღნიშნულია, რომ გერმანიის ფლოტიდან 25 მარტს თავს დაესხნენ სამხრეთ ინგლისის ერთერთ სამრეწველო ქალაქს და ყუმბარა დააყარეს გაზის ქარხანას. ზღვაში ბრძოლებში გერმანიის შეიარაღებულ ძალთა ოპერაციები. ჩამორთული და დაზიანებული ინგლისის რამდენიმე სავაჭრო გემი.

როგორც რეიტერის საგანგებო მეზღაკე

მაცუოკას ჩასვლა ბერლინში

ბერლინი, 26 მარტი (საკუთარი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, დღეს 18 საათზე ბერლინს ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაცუოკა. ინპალტის ვოგზალზე მაცუოკას შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაღრობის კომუნიკე

ლონდონი, 26 მარტი (საკუთარი). ინფორმაციის სამინისტროს კაირიდან გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაღრობის კომუნიკეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ 24 მარტს მტრის მცირე რაზმმა ელ-აგეილი (ლიბია) დააკავა. ინგლისის სპეციალურ ნაწილებმა ჯერ კიდევ ამ პუნქტის დაკავებამდე დაიხიეს იქიდან. ერიტრეის ფრონტზე, კერენის რაიონში, ინგლისის ჯარმა ახალი პოზიციები დაიკავა. მოგერიებულია მტრის კონტრიერიში, რომლის დროსაც ინგლისელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და იარაღი. ბასრინიაში ოპერაციები წარმატებით ვითარდება ყველა მიმართულებით.

ინდოეთის ეროვნული კონგრესი

ბერლინი, 26 მარტი (საკუთარი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბიუროს ინფორმაციით, ინდოეთის ეროვნული კონგრესი ინგლისს ულტიმატუმს აძლევს ინდოეთის ეროვნული ბანკის ოქროს ფონდის ინდოეთიდან ინგლისში ევაკუაციის გამო. ინდოეთის ეროვნული კონგრესი ინგლისს ულტიმატუმს აძლევს ინდოეთის ეროვნული ბანკის ოქროს ფონდის ინდოეთიდან ინგლისში ევაკუაციის გამო.

ინგლისელ-ბელგიელ-ფრანგული ბანკეტი

ბერლინი, 26 მარტი (საკუთარი). ინგლისელ-ბელგიელ-ფრანგული ბანკეტი ინგლისელ-ბელგიელ-ფრანგული ბანკეტი ინგლისელ-ბელგიელ-ფრანგული ბანკეტი